

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის  
მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი (თანამდებობის პირი) - ეკატერინე ონიკაძე

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი

ფრაქციის დასახელება - „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“

კომისიის დასახელება: 1. ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისია,  
2. სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა  
კომისია

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - პროპორციული

საანგარიშოპერიოდი - 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე.

ანგარიშისტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1. საანგარიშოპერიოდში განხორციელებული საქმიანობა

1.1 სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 14 საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 12  
რიგითი საქმეთა

1.2 სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 20 - მ/შ დროებითი სამუშაო ჯგუფებისა და  
კომისიების კომისიის სხდომებზე დასწრება - 13

1.3 სულ ფრაქციის სხდომების რაოდენობა - 4  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 3

1.4. საკრებულოს წევრის მიერ ინიცირებული საკითხები:

თელავის მუნიციპალიტეტში აუტიზმის სპექტრის მქონე (ასა) ბავშვების მომსახურების  
დაფინანსება.  
ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა დადგენილება

1.5. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

მერიის მიერ ინიცირებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, კულტურულ-  
საგანმანათლებლო და სოციალური პროგრამები, თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო  
სკოლების წარჩინებულ მოსწავლეთა წახალისება, სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტებისა  
და ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა, თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ  
რეაბილიტაციის ცენტრის

საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების რეგულირების წესი.

#### 1.6. ისსაკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა-0

#### 1.7. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 12 და შეხვედრებზე დამსწრე მოქალაქეთა რაოდენობა - 150

#### 1.8. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:

ახალგაზრდული ინიციატივებისა და ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა; ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის ხელშეწყობა, ქალთა ჯანმრთელობის სერვისებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა, მუნიციპალური პროგრამების განვითარების ხელშეწყობა, შშმ პირთათვის მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების ადაპტირების ხელშეწყობა და სხვა.

#### 1.9. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)

რეკომენდაცია:: თელავის მუნიციპალიტეტში აუტიზმის სპექტრის მქონე (ასა) ბავშვების მომსახურების დაფინანსება.

#### 2. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარებულია შეხვედრა თელავის მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალთან ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის უზრუნველყოფის შესახებ.

- საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარებულია შეხვედრა თელავის შშმ ბავშვთა დღის ცენტრის მშობლებთან ჯანდაცვისა და სოციალური სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობისა და ბავშვთა განვითარების საყურადღებო ნიშნების შესახებ;

- ქართული ოცნების ქალთა ორგანიზაციის კახეთის რეგიონული საბჭოს გამგეობის წევრის უფლებამოსილების განხორციელებისას ჩატარებულია საინფორმაციო და სკრინინგ კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერი“ და „ლურჯი მარტი“;

- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანაშრომლობის ფარგლებში შეფასებულია თელავის მუნიციპალიტეტში არსებული პირველადი ჯანდაცვის ცენტრები ბავშვთა ჯანმრთელობის გავრცელებული პრობლემების სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების დანერგვის მიზნით და მათთვის მიწოდებულია ინფორმაცია ადგილობრივი მუნიციპალური პროგრამებისა და მუნიციპალიტეტში არსებული ბავშვთა განვითარების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების შესახებ;

- სამედიცინო კადრების დეფიციტისა და პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში ექიმების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით თელავში დაწყებულია „მომიჯნავე სპეციალობების ოჯახის ექიმად გადამზადების პროგრამა“ - უკვე გადამზადებულია 10 ექიმი, ყოველ 6 თვეში 5 ექიმი გადამზადდება, რაც ხელ შეუწყობს კადრების დეფიციტის სრულად აღმოფხვრას, არამარტო თელავის მუნიციპალიტეტში, არამედ მთლიანად კახეთის რეგიონში;

- როგორც ხარისხის მენეჯერი, ვმონაწილეობ "ყველა ბავშვისთვის უწყვეტი და ხარისხიანი პჯდ სერვისების მიწოდება საქართველოში" - პროექტში, რაც გულისხმობს თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. ფშავლის ამბულატორიაში, ტელემედიცინის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მოსახლეობისთვის ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიწოდებას;

- როგორც ოჯახის ექიმი ვმონაწილეობ გზამკვლევის ,, განვითარების შეფერხების და ამ მხრივ რისკის მქონე 6 წლამდე ასაკის ბავშვების გამოვლენა, შეფასება და ბავშვისა და ოჯახის საჭიროების შესაბამის სერვისში რეფერალი“ სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც შემდგომში დაინერგება პირველადი ჯანდაცვის სახელმძღვანელო დოკუმენტად.

### 3. საკრებულოს წევრის სამომავლო გეგმები

1. დედათა და ბავშვთა ჯანდაცვისა და სოციალური მუნიციპალური სერვისების გაძლიერება;
2. საექთნო პროფესიული განათლების პროგრამის აკრედიტაციის ხელშეწყობა;
3. მოქალაქეებთან შეხვედრების ინტენსივობის და წამოჭრილი საკითხების გადაჭრაში მონაწილეობა;
4. მაწანწრის უბნის რეკრეაციული სივრცეების განვითარების პერსპექტივების შესწავლა და სივრცეების მოწყობის შესახებ ინიციატივის მომზადება.

შეესების თარიღი: 31.10.2023

წარდგენის თარიღი: 31.10.2023

ხელმოწერა

